

ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე,
მოქალაქე ციური კვაშილავასათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა
და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მშვიდობის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ციური კვაშილავას განცხადება /2013 წ. 18.06 Nკ-6510/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის N4 ბინა/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ციური კვაშილავას.

2. ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცეციფურიშვილი/ ქალაქ ქუთაისში, მშვიდობის ქუჩა N6 საცხოვრებელი სახლის N4 ბინაზე /საერთო ფართობი 24.12 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 24.12 კვ.მ. საერთო სარგებლობაში არსებული საზაფხულო ფართობი 11.84 კვ.მ, საერთო სარგებლობაში არსებული სამზარეულო ფართობი 13.16 კვ.მ, საერთო სარგებლობაში არსებული სველი წერტილი ფართობით 12.8 კვ.მ./ მოქალაქე ციური კვაშილავას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე